

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №168

2020 წლის 22 იანვარი

ქ. რუსთავი

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 დეკემბრის №158 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 დეკემბრის №158 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/12/2019, №190020020.35.160.016594) და დადგენილების 1-ლი, მე-2, მე-3, მე-5, მე-7, მე-8, მე-9, მე-10 და მე-15 მუხლები, ასევე მე-13 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი შემდეგი რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა		
			სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
შემოსავლები	44 103,8	54 310,3	55 503,7	43 994,6	11 509,1
გადასახადები	14 708,8	33 362,9	38 753,6	38 753,6	0,0
გრანტები	23 605,5	14 513,5	11 509,1	0,0	11 509,1
სხვა შემოსავლები	5 789,6	6 433,9	5 241,0	5 241,0	0,0
ხარჯები	30 459,1	37 669,8	39 433,5	38 560,2	873,3
შრომის ანაზღაურება	3 653,6	13 561,5	15 496,6	15 222,1	274,5
საქონელი და მომსახურება	3 048,3	12 703,9	14 774,0	14 289,0	485,0
პროცენტი	307,4	162,5	97,0	97,0	0,0
სუბსიდიები	18 488,9	2 254,6	2 382,5	2 382,5	0,0
გრანტები	3,7	4,0	4,5	4,5	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	2 930,1	3 447,4	3 491,3	3 483,7	7,6
სხვა ხარჯები	2 027,1	5 535,8	3 187,5	3 081,4	106,1
საოპერაციო სალდო	13 644,7	16 640,5	16 070,2	5 434,4	10 635,8



არაფინანსური აქტივების ცვლილება	7 208,5	25 309,7	21 885,9	10 054,1	11 831,7
ზრდა	8 065,0	26 059,7	22 885,9	11 054,1	11 831,7
კლება	856,6	750,0	1 000,0	1 000,0	0,0
მთლიანი სალდო	6 436,3	-8 669,2	-5 815,7	-4 619,7	-1 195,9
ფინანსური აქტივების ცვლილება	5 645,8	-9 496,4	-6 292,7	-5 096,7	-1 195,9
ზრდა	5 645,8	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	5 645,8	0,0	0,0		
კლება	0,0	9 496,4	6 292,7	5 096,7	1 195,9
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	9 496,4	6 292,7	5 096,7	1 195,9
ვალდებულებების ცვლილება	-790,5	-827,2	-477,0	-477,0	0,0
კლება	790,5	827,2	477,0	477,0	0,0
საშინაო	790,5	827,2	477,0	477,0	0,0
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 2. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა		
			სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
შემოსულობები	44 960,4	55 060,3	56 503,7	44 994,6	11 509,1
შემოსავლები	44 103,8	54 310,3	55 503,7	43 994,6	11 509,1
არაფინანსური აქტივების კლება	856,6	750,0	1 000,0	1 000,0	0,0
გადასახდელები	39 314,7	64 556,7	62 796,3	50 091,3	12 705,0
ხარჯები	30 459,1	37 669,8	39 433,5	38 560,2	873,3
არაფინანსური აქტივების ზრდა	8 065,0	26 059,7	22 885,9	11 054,1	11 831,7
ვალდებულებების კლება	790,5	827,2	477,0	477,0	0,0
ნაშთის ცვლილება	5 645,8	-9 496,4	-6 292,7	-5 096,7	-1 195,9



მუხლი 3. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 55 503,7 ათასი ლარის ოდენობით:

ათას ლარებში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა		
			სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
შემოსავლები	44 103,8	54 310,3	55 503,7	43 994,6	11 509,1
გადასახადები	14 708,8	33 362,9	38 753,6	38 753,6	0,0
გრანტები	23 605,5	14 513,5	11 509,1	0,0	11 509,1
სხვა შემოსავლები	5 789,6	6 433,9	5 241,0	5 241,0	0,0

მუხლი 5. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 11 509,1 ათასი ლარის ოდენობით:

ათას ლარებში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
გრანტები	23 605,5	14 513,5	11 509,1
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	58,8	0,0	0,0
სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	23 546,7	14 513,5	11 509,1
მიმდინარე	15 450,3	680,9	669,8
გათანაბრებითი ტრანსფერი	14 950,3	0,0	0,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	500,0	500,0	500,0
სპეციალური ტრანსფერი	0,0	180,9	169,8
კაპიტალური	8 096,4	13 832,6	10 839,3
კაპიტალური ტრანსფერი	8 096,4	13 832,6	10 839,3

მუხლი 7. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 39 433,5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:



დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა		
			სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
ხარჯები	30 459,1	37 669,8	39 433,5	38 560,2	873,3
შრომის ანაზღაურება	3 653,6	13 561,5	15 496,6	15 222,1	274,5
საქონელი და მომსახურება	3 048,3	12 703,9	14 774,0	14 289,0	485,0
პროცენტი	307,4	162,5	97,0	97,0	0,0
სუბსიდიები	18 488,9	2 254,6	2 382,5	2 382,5	0,0
გრანტები	3,7	4,0	4,5	4,5	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	2 930,1	3 447,4	3 491,3	3 483,7	7,6
სხვა ხარჯები	2 027,1	5 535,8	3 187,5	3 081,4	106,1

მუხლი 8. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 21 885,9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 22 885,9 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა		
				სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	173,4	106,7	129,9	129,9	0,0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	37,5	103,1	124,7	124,7	0,0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	135,9	3,5	5,2	5,2	0,0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	6 756,4	20 312,1	14 527,6	4 472,7	10 054,9
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5 487,9	15 440,2	7 672,6	2 369,0	5 303,5
02 02	წყლის სისტემების განვითარება	67,6	101,9	230,0	230,0	0,0
02 03	გარე განათება	19,9	0,0	0,0	0,0	0,0
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	591,5	837,1	189,1	189,1	0,0
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	0,0	271,0	205,0	205,0	0,0



02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	159,9	2 092,9	3 680,2	640,6	3 039,5
02 07	მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება	0,0	200,5	1 305,7	100,6	1 205,1
02 08	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	125,0	443,6	738,9	232,2	506,7
02 09	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	304,6	924,8	506,1	506,1	0,0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	9,5	96,4	189,1	189,1	0,0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	0,0	62,0	138,0	138,0	0,0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	9,5	32,9	50,6	50,6	0,0
03 03	უპატრონო ცხოველების ოპერირება	0,0	1,5	0,5	0,5	0,0
04 00	განათლება	408,5	2 939,7	5 803,9	4 031,9	1 772,0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	15,2	126,2	50,0	50,0	0,0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	393,3	1 047,3	3 994,0	3 978,9	15,1
04 03	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობა	0,0	5,2	3,0	3,0	0,0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	717,3	2 591,8	2 233,4	2 228,5	4,8
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	567,3	2 365,5	1 942,7	1 937,9	4,8
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	150,0	205,9	288,0	288,0	0,0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	0,0	20,5	2,7	2,7	0,0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0,0	13,0	2,0	2,0	0,0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	0,0	3,5	0,0	0,0	0,0
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	0,0	9,4	2,0	2,0	0,0
სულ ჯამი		8 065,0	26 059,7	22 885,9	11 054,1	11 831,7

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 1 000,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	856,6	750,0	1 000,0
ძირითადი აქტივები	241,8	50,0	100,0
არაწარმოებული აქტივები	614,7	700,0	900,0



მიწა	614,7	700,0	900,0

მუხლი 9. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქც. კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გაგმა	2020 წლის გაგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	5 916,7	6 662,6	7 126,3
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	5 286,9	6 335,8	6 802,5
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	5 286,8	5 913,8	6 450,5
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,1	422,0	352,0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	140,3	149,3	176,8
70132	საერთო დანიშნულების დაგეგმვა და სტატისტიკური მომსახურება	50,0	50,0	50,0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	90,3	99,3	126,8
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	307,4	162,5	97,0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	182,1	15,0	50,0
702	თავდაცვა	246,5	287,7	271,7
7021	შეიარაღებული ძალები	246,5	287,7	271,7
704	ეკონომიკური საქმიანობა	6 328,5	16 755,2	10 125,0
7045	ტრანსპორტი	6 328,5	16 755,2	10 125,0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	6 328,5	16 755,2	10 125,0
705	გარემოს დაცვა	4 759,8	5 346,3	5 825,3
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	3 312,8	3 521,2	3 808,6
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	122,1	210,5	397,5
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	1 214,2	1 483,6	1 488,9
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	110,7	131,1	130,3
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	4 785,0	11 643,1	10 501,7



7061	ბინათმშენებლობა	1 899,7	5 439,7	3 305,1
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	160,6	2 118,5	4 268,0
7064	გარე განათება	1 528,2	1 389,8	1 399,4
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1 196,4	2 695,1	1 529,2
707	ჯანმრთელობის დაცვა	1 106,2	1 381,1	1 394,2
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	1 106,2	1 381,1	1 394,2
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	5 927,8	8 589,0	8 993,7
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	2 683,6	4 412,0	4 353,5
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1 643,5	2 137,5	2 191,8
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	16,6	110,0	110,0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და სპორტის სფეროში	1 583,9	1 929,5	2 338,4
709	განათლება	6 928,9	10 499,7	15 305,8
7091	სკოლამდელი აღზრდა	6 904,7	8 453,9	13 255,3
7092	ზოგადი განათლება	0,0	1 941,9	1 950,5
70923	საშუალო ზოგადი განათლება	0,0	1 941,9	1 950,5
7094	უმაღლესი განათლება	24,3	104,0	100,0
70942	უმაღლესი აკადემიური განათლება	24,3	104,0	100,0
710	სოციალური დაცვა	2 524,9	2 564,7	2 775,7
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	111,4	136,0	141,0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	36,7	40,0	40,0
71012	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	74,7	96,0	101,0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	1 304,1	1 526,6	1 653,7
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	14,4	15,8	15,8
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	321,1	361,6	446,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	773,9	524,7	519,2
	სულ	38 524,2	63 729,4	62 319,3

მუხლი 10. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო 16 070,2 ათასი



ლარის ოდენობით.

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო (-5 815,7) ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	13 644,7	16 640,5	16 070,2
მთლიანი სალდო	6 436,3	-8 669,2	-5 815,7

თავი II

პრიორიტეტებისა და პროგრამების აღწერა

მუხლი 13. ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებით და ზოგად განათლებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ბავშვთა კვების რაციონს, ასევე ეტაპობრივად მიმდინარეობს ბაღების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფა.

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
04 00	განათლება	15 305,8
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	8 740,3
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	3 994,0
04 03	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობა	521,0
04 04	საშუალო სკოლებში ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია	1 950,5
04 05	სტუდენტთა სწავლის დაფინანსება	100,0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულების ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარებში	
	04 01		2020 წელი	8 740,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა)იპ – ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება			
ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქ რუსთავში ფუნქციონირებს 21 სააღმზრდელო დაწესებულება (ბაგა-ბაღი) 6730 აღსაზრდელო, რომელსაც მომსახურებას უწევს : 21 გამგე, 21 მენეჯერი, 21 ფსიქოლოგი, 4 ლოგოპედი, 10 სპეცპედაგოგი, 32 მუსიკის ხელმძღვანელი, 209 აღმზრდელი, 198 აღმზრდელის თანაშემწე და 372 სხვა დამხმარე ტექპერსონალი. სულ დასაქმებული 888 თანამშრომელი.			



ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	— ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი საადმინისტრაციო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	დაფინანსება ათას ლარებში	
	04 02		2020 წელი	3 994,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური			
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია ასევე გაძაგრება-გამდიდრების სამუშაოები და შიდა ფართების ნაწილობრივი რეაბილიტაცია. დღეის მდგომარეობით ქალაქში ფუნქციონირებს 21 საბავშვო ბაღი, რომელთაგან 2 სრულად რეაბილიტირებულია, დანარჩენი საჭიროებს რეაბილიტაციას სხვადასხვა მასშტაბით. საბავშვო ბაღებში გათბობის სისტემების მოწყობა ყოფილი №34 ბაღის რეაბილიტაცია ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა არსებული საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია			
პროგრამის მიზანი და მოსახლოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია, რაც ნაწილობრივ პერსპექტივას შექმნის ბაღებში მეტი რაოდენობის აღსაზრდელის მიღების.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში	
	04 03		2020 წელი	521,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ააიპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი“			
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამა ემსახურება ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულ, 2 წლიდან 33 წლამდე, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს, ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი მომსახურებები: - ადრეულ ასაკში (0-დან 7 წლამდე) მულტიდისციპლინური გუნდების (ფსიქოლოგი, ლოგოპედი, სპეცპედაგოგი), და სამედიცინო კომისიის (ნევროლოგი, თერაპევტი, ფიზიოთერაპიტი) მიერ ხდება განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა უნარებისა და შესაძლებლობების განსაზღვრა, შესაბამისი მიმართულების მიცემა და მომსახურების შეთავაზება; 6 წლიდან 18 წლამდე განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა; სასკოლო ასაკში ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა; 18 წლიდან 33 წლამდე განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადება, რისთვისაც ცენტრში ხდება ბენეფიციართა სხვადასხვა სახის შრომით თერაპიებში ჩართვა (ბენეფიციართა კვებით უზრუნველყოფისთვის ფუნქციონირებს პურ-ფუნთუშეულის საცხობი, ინტეგრირებული სამზარეულო, სამრეცხაო ოთახი, მინიბოსტანი)			

	ბენეფიციართა საერთო რაოდენობის 70 % სარგებლობს ცენტრის მომსახურების სრული პაკეტი მთელი დღის განმავლობაში და მათთვის გათვალისწინებულია ორჯერადი კვება აღნიშნული პროგრამის განხორციელებას ემსახურება 70 თანამშრომელი, მათ შორის ადმინისტრაციული პერსონალი – 7 თანამშრომელი; პედაგოგი – 16 თანამშრომელი; სპეციალისტი (ფსიქოლოგი, ლოგოპედი, მასაჟისტი, სხვადასხვა პროფესიის თერაპევტები) – 21 თანამშრომელი, დამხმარე პერსონალი – 26 თანამშრომელი (მათ შორის დასაქმებულია ცენტრის ყოფილი 3 ბენეფიციარი)
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	საზოგადოებაში ინტეგრირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები

პროგრამის დასახელება	კოდი	საშუალო სკოლებში ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარებში	
	04 04		2020 წელი	1 950,5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური			
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში მოხდება ქალაქ რუსთავის მუნიციპალურ საზღვრებში არსებულ სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირება წინასწარ დაგეგმილი მარშრუტით. პროგრამის ფარგლებში მოხდება საშუალო სკოლების შენობების და მიმდებარე ტერიტორიის მოწყობა-რეაბილიტაცია. სკოლებში არსებული პრობლემების გათვალისწინებით, სკოლის დირექტორები წარმოადგენენ მათთვის უმნიშვნელოვანესი პრობლემის მოგვარების პროექტებს, რომელთა შერჩევა მოხდება პრიორიტეტულობის მიხედვით და განხორციელდება აღნიშნული პროგრამის ფარგლებში.			
პროგრამის მიზანი და მოსახლოდნელი შედეგი	პროგრამის ფარგლებში მოხდება საშუალო სკოლის შენობების მოწყობა-რეაბილიტაცია, რაც ბევრად უსაფრთხო, კომფორტულს და მიმზიდველს გახდის სკოლებს. კომფორტული გარემო ხელს შეუწყობს მომავალი თაობის ჰარმონიული განვითარებას, ასევე აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოხდება მოსწავლეთა გადაყვანა სკოლის და სკოლიდან სახლის მიმართულებით, რაც შესაძლებლობას მისცემს სკოლის მოწავლეებს რომელთათვისაც განათლების მიღების ხელშემშლელი გარემოება იყო სკოლამდე მგზავრობა, გადაიჭრას აღნიშნული პრობლემა, და შეძლონ მიიღონ შესაბამისი განათლება მსგავსი ტიპის პრობლემების გვერდის ავლით.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სტუდენტთა სწავლის დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარებში	
	04 05		2020 წელი	100,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული სტუდენტების, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ), დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესაბამისად, კერძოდ 81 დან 90- ათ ქულამდე შეფასების მქონეს არაუმეტეს 800 ლარის ოდენობით , 90 დან 95-მდე ქულის მქონე სტუდენტებს არაუმეტეს 1000 ლარით და 95 დან 100 ქულის ჩათვლით 1200 ლარით, სტუდენტებს უფინანსდებათ ერთი სასწავლო წლის გადასახადი არაუმეტეს ლიმიტით გასაზღვრული ოდენობისა. გამოწვევის წარმოადგენს დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა			
მოსალოდნელი მიზანი და შედეგი	განთლების მიღების მოტივაციის ამაღლება და ხელმისაწვდომობა			



2. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება საგზაო, სანიაღვრე, გარე განათებისა და ავარიული შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროგრამები, ქალაქში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებები, მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარების ხელშეწყობა, ასევე სამომავლო სარეაბილიტაციო ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციების მომზადებისა და ექსპერტიზის ხარჯები.

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	21 119,2
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	7 916,8
02 01 01	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	7 115,4
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	526,2
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	275,3
02 02	წყლის სისტემების განვითარება	397,5
02 02 01	სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა	397,5
02 03	გარე განათება	1 399,4
02 03 01	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა	1 399,4
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	1 422,2
02 04 01	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია	189,1
02 04 02	საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაცია	556,2
02 04 03	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	676,9
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	2 072,0
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	4 363,0
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა	4 268,0
02 06 03	სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა	95,0
02 07	მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება	2 208,2
02 08	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	738,9
02 09	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	601,2



	02 01	2020 წელი	7 916,8
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური		
	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „რუსთავსერვისცენტრი“		
პროგრამის აღწერა	პროგრამა მოიცავს გზებისა და ტროტუარების რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის სამუშაოებს სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას (ე.წ. ორმოული შეკეთება); არასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას; ორმოული დამუშავება ხდება როგორც შიდაკვარტალურ, ასევე ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე. დაგეგმილია ქალაქში დამონტაჟებული სათვალთვალო ჭკვიანი კამერების მოვლა-პატრონობის მომსახურების შესყიდვა განხორციელდება ქალაქში მოძრაობის მოწესრიგებისა და მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის არსებული გადასასვლელებისა და საგზაო ნიშნების მოვლა-პატრონობა, შეკეთება, ახალი ნიშნების დამატება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არსებული ნიშნებისა და გადასასვლელების, ბორდიურების მოვლა-პატრონობა გარდა ამისა გაკეთდება საჭიროების შესაბამისად სხვადასხვა ლოკაციებზეც ახალი საგზაო ნიშნების დამონტაჟება საპატრულო პოლიციის მოთხოვნის შესაბამისად. იხაზება ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები. აღნიშნულ პროგრამას ემსახურება 14 თანამშრომელი.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავში არსებული გზებისა და მარეგულირებელი ნიშნების მოწესრიგება და ქალაქში, როგორც სატრანსპორტო საშუალებებისათვის ასევე მოქალაქეთათვის კომფორტული გადაადგილებისათვის საჭირო გარემოს შექმნა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	დაფინანსება ათას ლარებში	
	02 01 01		2020 წელი	7 115,4
პროგრამის განმახორციელებელი	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური			
პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი პროექტები:			
	• კოსტავას გამზირის №21 კორპუსიდან მეტალურგიულ ქარხნამდე მისასვლელი გზის საფარის რეაბილიტაცია			
	• ლომოურის ქუჩის გაგანიერება/რეაბილიტაცია			
	• მარცხენა სანაპიროს შიდა კვარტალური გზების და ეზოების საფარის რეაბილიტაცია და სანიაღვრეს მოწყობა			
	• რჩეულიშვილის ქუჩის გზის ა/ბეტონის საფარისა და ტროტუარების რეაბილიტაცია და სანიაღვრე ქსელის მოწყობა (რჩეულიშვილის №10ა საცხოვრებელი კორპუსიდან სამგორის ქუჩის გადაკვეთამდე)			
	• ჩერკასის ტროტუარები			
	• ლესელიძის №28-თან ტროტუარი			
	• სააკაძის ქუჩა (ბათუმის ქუჩიდან გარეჯის ქუჩამდე) • მშვიდობის ქუჩის დარჩენილი ნაწილის ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაცია • შარტავას გამზირზე ბენზინგასამართი სადგურიდან სუპერმარკეტამდე ტერიტორიის კეთილმოწყობა • ფანცულაიას ქუჩის ტროტუარების ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაცია			
პროგრამის მიზანი და მოსახლოდნელი შედეგი	აღნიშნული პროექტების განხორციელების შემდეგ შეიქმნება უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების პირობები. სამედიცინო, სახანძრო და სხვა დახმარების ბრიგადების დროული მისვლა დანიშნულების ადგილზე.			



პროგრამის დასახელება	კოდი	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	დაფინანსება ათას ლარებში	
	02 01 02		2020 წელი	526,2
პროგრამის განმახორციელებელი	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური			
პროგრამის აღწერა	საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას (ე.წ. ორმული შეკეთება); არასასაფრთხო ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას; ორმული დამუშავება ხდება როგორც შიდაკვარტალურ, ასევე ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე.			
	გზის საფარის ორმული დამუშავება			
პროგრამის მიზანი და მოსახლოდნელი შედეგი	ქალაქ რუსთავში გზის ორმული დამუშავება და წლის მანძილზე გზების მუშა მდგომარეობაში შენარჩუნება. არსებული გზების ექსპლუატაციის ვადის გაზრდა. შექმნილი უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების პირობები. გაზრდილი გზების ექსპლუატაციის პერიოდი.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	დაფინანსება ათას ლარებში	
	02 01 03		2020 წელი	275,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „რუსთავსერვისცენტრი“			
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქში მოძრაობის მოწესრიგებისა და მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის არსებული გადასასვლელებისა და საგზაო ნიშნების მოვლა-პატრონობა, შეკეთება, ახალი ნიშნების დამატება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არსებული ნიშნებისა და გადასასვლელების, ბორდიურების მოვლა-პატრონობა, გარდა ამისა იგეგმება საჭიროების შესაბამისად სხვადასხვა ლოკაციებზე ახალი საგზაო ნიშნების დამონტაჟება საპატრულო პოლიციის მოთხოვნის შესაბამისად. იხაზება ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები. აღნიშნულ პროგრამას ემსახურება 14 თანამშრომელი. დაგეგმილია ქალაქში დამონტაჟებული სათვალთვალო ჭკვიანი კამერების მოვლა-პატრონობის მომსახურების შესყიდვა			
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე მოწესრიგებული ქალაქში არსებული საგზაო ნიშნები და დახაზული გადასასვლელები, დაცულია ტრანსპორტისა და მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილება.			

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის განვითარება	დაფინანსება ათას ლარებში	
	02 02		2020 წელი	397,5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური			
	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „რუსთავსერვისცენტრი“			
	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არსებული სანიაღვრე სისტემის მოვლა-პატრონობა,			



პროგრამის აღწერა	რომელიც გულისხმობს უამინდობის პერიოდში სანიაღვრე სისტემის გაწმენდას, ასევე პერიოდულად ხდება ინსპექტირება და დროული რეაგირება ინსპექტირების შედეგად დადგენილ დაზიანებებზე. ხდება სანიაღვრე ჭეხის დაზიანებული სახურავების შეცვლა. ახალი სანიაღვრე ქსელების მოწყობა.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქალაქში არსებული გამართული სანიაღვრე სისტემა და მოწყობილი ახალი სანიაღვრეები.

პროგრამის დასახელება	კოდი	სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარებში	
	02 02 01		2020 წელი	397,5
პროგრამის განმახორციელებელი	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „რუსთავსერვისცენტრი“			
პროგრამის აღწერა	პროექტის ფარგლებში მოხდება არსებული სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და ასევე საჭიროების შემთხვევაში ახლის მოწყობა, ასევე დრენაჟის სისტემის მოწყობა/რეაბილიტაცია. 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 3 პროექტის განხორციელება საერთო ღირებულებით 130.0 ათასი ლარი.			
	მე-7 მკ/რ №25, №26 და №27 კორპუსების დრენაჟები			
	მე-14 მკ/რ №44-45-თან სანიაღვრე			
	მე-4 სკოლის წინ სანიაღვრე			
	ქალაქ რუსთავში სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა			
პროგრამის მიზანი და მოსახლოდნელი შედეგი	ქალაქში არსებული გამართული სანიაღვრე სისტემა და მოწყობილი ახალი სანიაღვრეები.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	დაფინანსება ათას ლარებში	
	02 03		2020 წელი	1 399,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „რუსთავსერვისცენტრი“			
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ქალაქის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. 2020 წელს იგეგმება არსებული სანათების ენერგოეფექტური დიოდური სანათებით ჩანაცვლებამთლიანად ქალაქის მასშტაბით, რაც შესაბამისად გამოიწვევს წლის განმავლობაში შემცირებული ელექტრო ენერგიის გადასახადს. ქალაქის მასშტაბით არსებული წერტილების რაოდენობა შეადგენს 7916 ცალს. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა. ამორტიზირებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება და დამატებითი ელექტრო ბოძების დამონტაჟებ დაზიანებული სადენების აღდგენა,შეკეთება და გარე განათების ელექტრო ენერგიის ხარჯის შემცირება. აღნიშნულ პროგრამას ემსახურება 12 თანამშრომელი.			
ქვეპროგრამის	პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად			



მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მოცვა გარე განათებით, სადაც დამონტაჟდება ახალი განათების ბომბები და ეკონომიური ნათურები.
------------------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა	დაფინანსება ათას ლარებში	
	02 03 01		2020 წელი	1 399,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „რუსთავსერვისცენტრი“			
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ქალაქის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. 2020 წელს იგეგმება არსებული სანათების ენერგოეფექტური დიოდური სანათებით ჩანაცვლებამთლიანად ქალაქის მასშტაბით, რაც შესაბამისად გამოიწვევს წლის განმავლობაში შემცირებული ელექტრო ენერგიის გადასახადს. ქალაქის მასშტაბით არსებული წერტილების რაოდენობა შეადგენს 7916 ცალს. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა. ამორტიზირებული და დაზიანებული განათების ბომბების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება და დამატებითი ელექტრო ბომბების დამონტაჟებ დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება და გარე განათების ელექტრო ენერგიის ხარჯის შემცირება. აღნიშნულ პროგრამას ემსახურება 12 თანამშრომელი.			
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით, სადაც დამონტაჟდება ახალი განათების ბომბები და ეკონომიური ნათურები.			

პროგრამის დასახელება	კოდი	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარებში	
	02 04		2020 წელი	1 422,2
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "რუსთავის კორპუსი".			
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კომუნალური მომსახურებების (წყალი, დენი, ბუნებრივი აირი) მიერთება და მუნიციპალური შენობების რეაბილიტაცია.			
	პროგრამის ფარგლებში მოხდება არსებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია. სტიქიის შედეგად დაზიანებული და ამორტიზირებული შენობების სახურავების გადახურვა.			
	პროგრამის ფარგლებში მოხდება ავარიული შენობების ფასადების გამაგრება/გადლიერება.			
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობები, სახურავების დაზიანების გამო მოსახლეობისთვის მიწოდებამდე დაყვანილი ზარალი. აღნიშნული ქვეპროგრამის განხორციელების შემდეგ გაზრდილია შენობების ექსპლუატაციის ვადა.			



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მოწყობა/რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარებში	
	02 04 01		2020 წელი	189,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კომუნალური მომსახურებების (წყალი, დენი, ბუნებრივი აირი) მიერთება და მუნიციპალური შენობების რეაბილიტაცია, კერძოდ:			
	შშმ პირთა ცენტრის შენობაში ცენტრალური გათბობის გაყვანილობის მოწყობა			
	მოხუცებულთა სახლის შენობაში ცენტრალური გათბობის გაყვანილობის მოწყობა			
	ვახუშტის №8-ში მდებარე ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში ოთახების რეაბილიტაცია			
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალური შენობების გათბობა მოხდება უსაფრთხოების სტანდარტების დაცვით, რაც გააუმჯობესებს მოსარგებლე ბენეფიციართა ყოფას და შეამცირებს უბედური შემთხვევების რისკს.			

პროგრამის დასახელება	კოდი	საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარებში	
	02 04 02		2020 წელი	556,2
პროგრამის განმახორციელებელი	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური ა(ა)იპ – „რუსთავის კორპუსი“			
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში მოხდება არსებული საცხოვრებელი შენობების გადახურვა, ასევე სტიქიის შედეგად დაზიანებული და ამორტიზირებული შენობების სახურავების გადახურვა.			
პროგრამის მიზანი და მოსახლოდნელი შედეგი	სახურავების დაზიანების გამო მოსახლეობისთვის მინიმუმამდე დაყვანილი ზარალი. აღნიშნული ქვეპროგრამის განხორციელების შემდეგ გაზრდილია შენობების ექსპლუატაციის ვადა.			

პროგრამის დასახელება	კოდი	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარებში	
	02 04 03		2020 წელი	676,9
პროგრამის განმახორციელებელი	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური			
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში მოხდება რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობები ფასადების სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია. ადგილობრივი ბიუჯეტიდან განხორციელდება 2 პროექტის რომლის ფარგლებშიც მოხდება 9 შენობის რეაბილიტაცია, კერძოდ:			
	ქყონდიდელში ფასადების რეაბილიტაცია (რჩეულიშვილის №2ა და 7ა-ს ჩათვლით 6 შენობა)			
	ქყონდიდელში ფასადების რეაბილიტაცია (ბარნოვის №5ა, ჩაპაევის №3 და გიორგაძის №28)			
პროგრამის მიზანი და მოსახლოდნელი შედეგი	პროექტის ფარგლებში მოხდება დაზიანებული კედლების აღდგენა, შელესვა და შეღებვა, რაც ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის შექმნის უსაფრთხოდ ცხოვრების გარანტიას და გაზრდის შენობების ექსპლუატაციის ვადას.			



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარება	დაფინანსება ათას ლარებში	
	02 05		2020 წელი	2 072,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ააიპ „რუსთავის კორპუსი“			
ქვეპროგრამის აღწერა	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებთან შეხვედრები მიმდინარე პროგრამების გაცნობის მიზნით; არსებული პრობლემების გამოვლენა, მათი მოგვარებისთვის საჭირო გზებისა და მეთოდების ერთობლივად გადაწყვეტა; ინფორმირების ამალგების მიზნით სხვადასხვა სახის საინფორმაციო ბუკლეტების, ფლაერების ბეჭდვა და გავრცელება. ამხანაგობების წევრების დაინტერესება რათა გაუჩნდეთ მეტი ინტერესი უხელმძღვანელონ ამხანაგობებს და უშუალო კონტაქტი დაამყარონ ააიპ „რუსთავის კორპუსთან“ შემდგომ ჩართულობას, ბმა-ს მხრიდან წამოსული ინიციატივების გაჟღერებას.			
	ბინათმესაკუთრეთა საკუთრებაში არსებული ქონების რეაბილიტაციის ხელშეწყობა: • შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება-თანადაფინანსება 20%; • სახურავის წყალსაწრეტი მილების შეკეთება/აღდგენა-თანადაფინანსება 20%; • სადარბაზოს კარების დამზადება და მონტაჟი-თანადაფინანსება 30%; • სადარბაზოს შიდა რემონტი-თანადაფინანსება 20%; • პანელოვან შენობებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია-თანადაფინანსება 20%; • სადარბაზოებში სართულის უჯრედზე სენსორული განათების მოწყობა-თანადაფინანსება მაღალსართულიანი 40%, დაბალსართულიანი 20%; • კორპუსებში რკინა/ბეტონის კონსტრუქციის შეკეთება-თანადაფინანსება 30%; • საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა-თანადაფინანსების გარეშე; • ადგილობრივი ინიციატივების ხელშეწყობა-ბმა-ს მხრიდან წამოსული ინიციატივები.			
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ინფორმირებული მოსახლეობის რაოდენობის გაზრდა; კორპუსებში გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა.			

პროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობის ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარებში	
	02 06		2020 წელი	4 363,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „რუსთავსერვისცენტრი“			
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში მოხდება რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების მოწყობა, რომლებიც საჭიროებენ აღდგენა-რეაბილიტაციას, ასევე აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოხდება სხვადასხვა ლოკაციაზე, კერძოდ საცხოვრებელი კორპუსების შიდა ეზოებში სკვერების მოწყობა.			
	პროგრამა გულისხმობს სკვერებში დასასვენებელი სივრცეების რეაბილიტაციას, დასასვენებელი სკამების აღდგენას და ახალი სკამების დამატებას, სანაგვე ურნების დადგმას და სანათების აღდგენას. ასევე მრავალსართულიანი სახლების ეზოებში დასასვენებელი სკამებს განთავსებას.			
	პროგრამა ითვალისწინებს სადღესასწაულო ღონისძიებებისათვის ქალაქის გაფორმებას.			
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის ფარგლებში აღდგენილი და ახლად მოწყობილი სკვერებით, მოსახლეობისთვის გაჩნდება კომფორტული, მიმზიდველი და კომფორტული დასასვენებელი გარემო, ასევე სუფთა და ჯანსაღ გარემოში დროის გატარების შესაძლებლობა.			



ქვეპროგრამის დასახელება	02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა	2020 წელი	4 268,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „რუსთავსერვისცენტრი“			
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში მოხდება რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების მოწყობა, რომლებიც საჭიროებენ აღდგენა-რეაბილიტაციას, ასევე აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოხდება სხვადასხვა ლოკაციაზე, კერძოდ საცხოვრებელი კორპუსების შიდა ეზოებში სკვერების მოწყობა.			
	ლეონიდის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია			
	ქალაქ რუსთავის ცენტრალური შემოსასვლელის რეაბილიტაცია			
	ქიმისკოსთა სახლის მ/ტ სკვერში ბილიკის მოწყობა			
	მე-19 მკ/რ №9-თან უკან მხარეს სკვერი			
	მე-12 მკ/რ №18-19თან სკვერი			
	21 მკ/რ №2, №3, №21 და №22-თან სკვერი			
	მე-8 მკ/რ ლიტერატურული სკვერი			
	ლეონიდის №28-თან სკვერი			
	მესხიშვილის 1 გასასვლელის №7 მიმდებარეს სკვერი			
ქვეპროგრამის მიზანი და მოსახლოდნელი შედეგი	თოდრიას №13 მ/ტ სკვერის მოწყობა			
	სკვერებისა და საზოგადოებრივი სივრცეების მოვლა-პატრონობა			
	პროგრამის ფარგლებში აღდგენილი და ახლად მოწყობილი სკვერებით, მოსახლეობისთვის გაჩნდება მიმზიდველი და კომფორტული დასასვენებელი გარემო, ასევე სუფთა და ჯანსაღ გარემოში დროის გატარების შესაძლებლობა.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარებში	
	02 06 02		2020 წელი	95,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „რუსთავესერვისცენტრი“			
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს, განსაკუთრებით რუსთავეაქლავობის და საახალწლო ღონისძიებების უზრუნველყოფას, სადღესასწაულო კომფორტული გარემოს შექმნასა და მოსახლეობის განწყობის ამაღლებას. შესაბამისად საჭიროა ქალაქის მორთვა საახალწლო დეკორატიული განათებებით. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქალაქის საახალწლო დეკორაციებით გაფორმების სამუშაოები. მორთვება თავისუფლების მოედანი, კოსტავას გამზირი 1-23 და 2-22 ნომერი შენობების აივნები,მერიიდან ზიდამდე ბომების კონსტრუქციები,ხიდი, გონაშვილის სკვერი.გამყოფი ზოლი იუსტიციის სახლიდან ქუთაისის მოედნამდე, თოდრიას ქუჩა, კლდიაშვილის ქუჩა, ჭყონდიდელის დასახლება, რუსთაველის ქუჩა, ფიროსმანის ქუჩა,კოსტავას გამზირი მერიიდან მეტალურგიულ ქარხნამდე. ქვეპროგრამიას ფარგლებში დაფინანსდება :			
	ქალაქის ტერიტორიაზე საახალწლო ნათურების მონტაჟი.			
	ქალაქში მთავარი ნაძვის ხის მონტაჟი/დემონტაჟის ღონისძიებები.			



	სხვა სადღესასწაულო ღონისძიებებისთვის ქალაქის გაფორმებას.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სადღესასწაულო დღეებში მორთული ქალაქი.

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება	დაფინანსება ათას ლარებში	
	02 07		2020 წელი	2 208,2
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - " რუსთავის მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო; რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური			
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შპს " რუსთავის მინიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმოს" დაფინანსება. რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალურ ტრანსპორტს, საიდანაც ხორციელდება საწარმოს ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება ხელფასებს და საწვავს. რუსთავის მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმოში მუშაობს 20 ავტობუსი: • №1 მარშრუტზე მუშაობს 3 ავტობუსი. • №2 მარშრუტზე მუშაობს 3 ავტობუსი. • №4 მარშრუტზე მუშაობს 3 ავტობუსი. • №5 მარშრუტზე მუშაობს 4 ავტობუსი. • №6 მარშრუტზე მუშაობს 2 ავტობუსი. • №7 მარშრუტზე მუშაობს 4 ავტობუსი. • ფოლადაანთკარის მარშრუტზე 1 ავტობუსი. 2020 წელში დაგეგმილია ავტოპარკის მოდერნიზაცია და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა.			
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	შიდა საქალაქო და საქალაქთაშორისო ტრანსპორტის განვითარება და მოდერნიზაცია, რომელიც იქნება მიმართული ქალაქ რუსთავის მოსახლეობის კმაყოფილებისათვის.			

პროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	დაფინანსება ათას ლარებში	
	02 08		2020 წელი	738,9
პროგრამის განმახორციელებელი	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური			
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში მოხდება შენობების, გზების და სხვა ობიექტებისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა.			
პროგრამის მიზანი და მოსახლოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე გაზრდილი ბიუჯეტის შესაბამისად საჭიროა მეტი პროექტის შეძენა, რაც სამომავლოდ რეგ. ფონდიდან ოპერატიულად დაფინანსების მოპოვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.			

პროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	დაფინანსება ათას ლარებში	
	02 09		2020 წელი	601,2



პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში მოხდება დაქირავებული კომპანიის მიერ, შესრულებული სამუშაოების (ფორმა №2) და საპროექტო სამუშაოების (პროექტების-ხარჯთაღრიცხვების, ნახაზების) ინსპექტირება. სამხარაულში იგზავნება 50 000 ლარს ქვემოთ გაფორმებული ხელშეკრულებების საბოლოო შესრულებები, შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება ხელს შეუწყობს სამუშაო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვას, საბოლოო ეტაპზე ხარისხიანი სამუშაოს მიღებას და გაწეული ხარჯების ოპტიმიზაციას. ასევე სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის ხდება სხვადასხვა სახის დასკვნების მომზადების დაკვეთა, როგორცაა შენობების კონსტრუქციული მდგრადობის დადგენა და ა.შ
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია სრულყოს პროექტების დამზადების პროცესი და მინიმუმადე იყოს დაყვანილი დაპროექტების სტადიაზე შესაძლო შეცდომები, რაც პროექტს მაქსიმალურად დაახლოებს არსებულ რეალობასთან, შემრულებელს გაუმარტივებს საქმეს და მინიმალური დანახარჯებით მოხდება პროექტების განხორციელება. ასევე შეამცირებს მზა პროექტებში ცვლილებების რაოდენობას. შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება ხელს შეუწყობს სამუშაო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვას, საბოლოო ეტაპზე ხარისხიანი სამუშაოს მიღებას და გაწეული ხარჯების ოპტიმიზაციას.

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს წარმატებული სპორტსმენებისა და ხელოვანების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების გამოვლენა.

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	8 898,7
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	4 353,5
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1 370,0
05 01 02	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	1 043,5
05 01 03	სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	1 940,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	3 483,7
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	2 805,6
05 02 01 01	სახელოვნებო განათლების დაფინანსება	1 251,9
05 02 01 02	თეატრის ხელშეწყობა	852,3
05 02 01 03	მუზეუმის ხელშეწყობა	325,5
05 02 01 04	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	375,9
05 02 02	კულტურული ღონისძიებების განხორციელება	543,1
05 02 03	კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	125,0



05 02 04	რელიგიური კონფესიების ხელშეწყობა	10,0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	334,2
05 03 01	ახალგაზრდობის მხარდამჭერი ღონისძიებები	234,2
05 03 02	ინიციატივების თანადაფინანსება	100,0
05 04	სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდობის ქვეპროგრამების ადმინისტრირების პროგრამა	727,3

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის სფეროს განვითარება	დაფინანსება ათას ლარებში	
	05 01		2020 წელი	4 353,5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური ა(ა)იპ – „სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი" არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი რაგბის კლუბი – „რუსთავის ხარები" შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საკალათბურთო კლუბი – რუსთავი 1991“			
პროგრამის აღწერა	პროგრამა მოიცავს სპორტის მრავალი სახეობის ხელშეწყობას და განვითარებას, ქალაქში არსებული სპორტული კულტურის გაძლიერებასა და მხარდაჭერას. პროგრამიდან ფინანსდება რაგბისა და კალათბურთის გუნდები და სასპორტო სკოლები, ასევე პროგრამა მოიცავს სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და ახლის მოწყობას.			
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია ქალაქში, ხოლო შესაბამისი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში	
	05 01 01		2020 წელი	1 370,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი რაგბის კლუბი – „რუსთავის ხარები“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საკალათბურთო კლუბი – რუსთავი 1991“			
ქვეპროგრამის აღწერა	- ქვეპროგრამის მიზანია რაგბის განვითარების ხელშეწყობა. რაგბის კლუბ – „რუსთავის ხარების“ წარმატებული მონაწილეობა საქართველოს უმაღლესი ლიგის დიდი 10-ის ჩემპიონატში. პერსპექტიული მორაგბეების აღზრდა, განვითარება და მომზადება საქართველოს ასაკობრივი ნაკრებებისათვის. - ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საკალათბურთო კლუბი – რუსთავი 1991“-ის დაფინანსება მუნიციპალური ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით., საიდანაც ხორციელდება კლუბის ხარჯების დაფინანსება.			
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	- აიპ რაგბის კლუბი – „რუსთავის ხარების“ წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ ჩემპიონატში და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე. - გუნდის წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ და შემდგომ საერთაშორისო ტურნირებში, ეროვნულ ჩემპიონატში საპრიზო ადგილის დაკავება.			



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებების განხორციელება	დაფინანსება ათას ლარებში	
	05 01 02		2020 წელი	1 043,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ააიპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“			
ქვეპროგრამის აღწერა	23 სპორტის სახეობის მიმართულებით სექციების მუშაობის			
	ქალაქ რუსთავის მასშტაბით ადმინისტრაციულ ერთეულებში (მუნიციპალიტეტებში) ღონისძიებების ორგანიზება			
	სპორტსმენების წახალისება სტიპენდიებითა და მათი საჭიროებების უზრუნველყოფით			
	სპორტსმენი მოსწავლეების სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა (ფინანსდება გზა, კვება, სასტუმრო)			
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ცენტრის მიზანია ფიზიკური აქტივობის მიმართ საზოგადოების მაღალი ცნობიერების და სპორტულ-გამაჯანსაღებელ სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა			

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	დაფინანსება ათას ლარებში	
	05 01 03		2020 წელი	1 940,0
პროგრამის განმახორციელებელი	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური			
	რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არის სპორტული მოედნები, რომლებიც საჭიროებენ აღდგენა-რეაბილიტაციას, ასევე აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოხდება სხვადასხვა ლოკაციაზე მინისპორტული მოედნები მოწყობა, ასევე სპორტულ-გამაჯანსაღებელი კუთხის მოწყობა.			
	რჩეულიშვილის ქუჩაზე არსებული სპორტული კომპლექსის ღობის დემონტაჟი და ახლის მოწყობა (№18 კორპუსის მ/ტ)			
	ზედგენიძის ქ. მინისპორტული მოედანი			
	გარეჯის №1 მინისპორტული მოედანი			
	გარეჯის №1 საბავშვო მოედანი			
	ბალანჩივადის №10ა ტრენაჟორები			
	ნიკოლაძის №5-7 მ/ტ ტრენაჟორები			
	გრანელის №2 ტრენაჟორები			
	ქიმიკოსთა სახლის მ/ტ ტრენაჟორები			
	სპორტის №2-ში სპორტული მოედანი			
	მშენებელთა 50 მ/ტ (ვენ.დისპანერთან) ტრენაჟორები			
